

ევროპული ბიზნეს ასოციაციის პოზიცია  
მცირე და საშუალო ბიზნესთან დაკავშირებით

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და  
ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტს

30 იანვარი, 2018 წელი

## **ევროპული ბიზნეს ასოციაციის შესახებ**

ევროპული ბიზნეს ასოციაცია არის საქართველოში რეგისტრირებული, არასამეწარმეო/არაკომერციული იურიდიული პირი.

ევროპულ ბიზნეს ასოციაციას საქართველოში სხვა ასოციაციებისგან განასხვავებს მისი წევრობის ევროპული სტრუქტურა, ონლაინ ფორმატი და განსაკუთრებული აქცენტი რეგიონებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე. ასოციაციას არ აქვს უფლება მხარი დაუჭიროს რომელიმე პოლიტიკურ პარტიას ან ისეთ მოგებაზე ორიენტირებულ კომპანიებს, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ასოციაციის ეთიკის კოდექსს და ქცევის წესებს. ასოციაციის ეთიკის კოდექსი კი დამყარებულია წევრების მიერ ჯანსაღი კონკურენციის, უსაფრთხო გარემოს, შრომითი უფლებების დაცვის, კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის, კორუფციასთან ბრძოლის პრინციპებზე.

ასოციაციის მისიაა საქართველოში ევროპული ბიზნესის ადვოკატირება/ლობირება და საქართველოსა და ევროპას შორის ვაჭრობისა და ინვესტიციების ხელშეწყობა.

ევროპული ბიზნეს ასოციაციის წევრები არიან, ერთი მხრივ, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში რეგისტრირებული კომპანიები, რომლებიც საქმიანობას ეწევიან საქართველოში და, მეორე მხრივ, ქართული კომპანიები, რომლებიც დაინტერესებული არიან ევროკავშირის ქვეყნებში პროდუქციისა და მომსახურების ექსპორტით და ვაჭრობით.

ასოციაციის წევრთა უმრავლესობას წარმოადგენენ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები სხვადასხვა სექტორიდან, მათ შორის სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, საფინანსო, სამშენებლო, სატრანსპორტო, სამედიცინო მომსახურება.

## **მცირე და საშუალო საწარმოები, ევროკავშირის გამოცდილება და ქართული რეალობა**

საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წელს გაფორმებული ასოციაციის შესახებ შეთანხმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა მცირე და საშუალო მენარმეობის პოლიტიკის იმპლემენტაცია ევროპის მცირე ბიზნესის აქტის პრინციპების გათვალისწინებით (მუხლი 313, 314, 315). მცირე ბიზნესის აქტის მთავარი პრინციპი “უპირველესად იფიქრე მცირეზე” ხაზს უსვამს მცირე და საშუალო მენარმეებთან კონსულტაციებისა და მათი მოთხოვნების გათვალისწინების მნიშვნელობას. აღნიშნული პრინციპი ითვალისწინებს რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) სისტემის არსებობას მცირე და საშუალო მენარმეებზე არაპროპორციული ტვირთის თავიდან აცილების/შემცირებისთვის.

2016 წელს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) გამოაქვეყნა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მცირე და საშუალო მენარმეობის პოლიტიკის ინდექსი, რომელიც ამ ქვეყნების მიერ ევროპის მცირე ბიზნესის აქტის განხორციელების შეფასებას გულისხმობს.

ინდექსის თანახმად, 2016 წლის მდგომარეობით, მცირე და საშუალო ბიზნესის ინსტიტუციური და საოპერაციო გარემოს გაუმჯობესების კუთხით, საქართველო რეგიონში საუკეთესოა. ბოლო წლების განმავლობაში განსაკუთრებული წინსვლა აღინიშნა ბიზნესის ინფრასტრუქტურის, დაფინანსების ხელმისაწვდომობის, ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების გაუქმებისა და მცირე და საშუალო საწარმოების ინსტიტუციონალიზაციის კუთხით.

OECD-ს მიერ მომზადებული მცირე და საშუალო საწარმოთა პოლიტიკის ინდექსის თანახმად, საქართველომ DCFTA-თ მინიჭებული შესაძლებლობების სრულად გამოყენებისთვის მცირე და საშუალო ბიზნესთან დაკავშირებული რიგი სისუსტეები უნდა დაძლიოს, როგორცაა:

- ✓ კერძო სექტორის სარეგულაციო პროცესში არასათანადო ჩართულობა;
- ✓ მცირე და საშუალო ბიზნესის განსხვავებული განმარტებების არსებობა;
- ✓ სტატისტიკურ მონაცემებთან დაკავშირებული პრობლემები;

- ✓ ფინანსებზე ხელმისაწვდომობა: მაღალი საპროცენტო განაკვეთები (დაახლოებით 16%) და გირაოს დიდი მოცულობა (კრედიტის ღირებულების (220%-მდე), რასაც შედარებით განუვითარებელი არასაბანკო დაფინანსების სისტემა ემატება. ეს კი ართულებს ინვესტიციების და საბრუნავი კაპიტალის დაფინანსებას, რაც მცირე და საშუალო ბიზნესს კონკურენტუნარიანობის ამაღლების, ინოვაციებისა და ექსპორტისთვის ესაჭიროება;
- ✓ განათლების სისტემა და მცირე და საშუალო ბიზნესის უნარები;
- ✓ რეგიონულ პარტნიორებთან შედარებით, ქართული მცირე და საშუალო ბიზნესის ყველაზე ნაკლები ინოვაციები და ექსპორტი.

OECD ანგარიშში დადებითად ფასდება საქართველოში მენარმეობის განვითარების და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს შექმნა, თუმცა ნათქვამია ასევე, რომ საჭიროა მათი შესაძლებლობების განვითარების ღონისძიებების განხორციელება, რათა მათი პოტენციური მაქსიმუმამდე გაიზარდოს.

ზემოაღნიშნული გამოწვევების დაძლევისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადანაცვტილება იყო საქართველოს მთავრობის მიერ 2016 წლის 26 თებერვალს დადგენილების მიღება, რომლითაც დამტკიცდა საქართველოს მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის. ამ სტრატეგიის საფუძველზე ასევე დამტკიცდა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა. აღნიშნული დადგენილება განსაზღვრავს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის დადგენილება #582-თ კი დამტკიცდა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა ზემოაღნიშნული სტრატეგიის შესაბამისად.

2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა ეფუძნება შემდეგ სტრატეგიულ მიმართულებებს:

1. სამართლებრივი, ინსტიტუციური და სამენარმეო გარემოს გაუმჯობესება;
2. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
3. მცირე და საშუალო მენარმეობის უნარების განვითარების და სამენარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა;
4. ექსპორტის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო სანარმოთა ინტერნაციონალიზაცია;
5. ინოვაციების და კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა;

მთავრობის მიერ მცირე და საშუალო ბიზნესთან დაკავშირებით მიღებული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელების თაობაზე ინფორმაცია ევროპული ბიზნეს ასოციაციისთვის ცნობილი არ არის.

## ევროპული ბიზნეს ასოციაციის წევრების მიერ დასახელებული გამოწვევები

ევროპული ბიზნეს ასოციაციის წევრთა გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით გამოვყავით ის ძირითადი საკითხები, რომელსაც მივიჩნევთ მნიშვნელოვნად საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშესაწყობად:

- პოლიტიკის ფორმირების პროცესში მცირე და საშუალო ბიზნესის არასათანადო ჩართულობა

ბიზნესისთვის მნიშვნელოვანია პროგნოზირებადი ბიზნეს-გარემო. მიუხედავად იმისა, რომ მუდმივად იმართება შეხვედრები ბიზნესის წარმომადგენლებთან, ხშირ შემთხვევაში მცირე და საშუალო ბიზნესი არ არის წარმოდგენილი და სათანადოდ ჩართული პოლიტიკის ფორმირების პროცესში.

- ტექნიკური და საინჟინრო მიმართულებით კვალიფიციური კადრების მოძიების სირთულე

ევროპული ბიზნეს ასოციაციის წევრების მიერ ერთ-ერთ პრობლემად დასახელდა კვალიფიციური კადრების მოძიების სირთულე, განსაკუთრებით ტექნიკური და საინჟინრო მიმართულებით.

- სექტორში არსებული არაკონკურენტული გარემო

ასოციაციის წევრების აზრით, სექტორში არსებული არაკონკურენტული გარემოს გამომწვევი მიზეზი ზოგ შემთხვევაში არის კანონმდებლობა, ზოგ შემთხვევაში, ბაზარზე მსხვილი მოთამაშეების კიდევ უფრო გაძლიერების ტენდენცია სხვადასხვა ორგანიზაციების დახმარებით ან თავად კომპანიების არაკონკურენტული ქცევა.

- სექტორის არასათანადო რეგულირება

ასოციაციის წევრების ნაწილმა ერთ-ერთ პრობლემად დაასახელა მათი სექტორის სახელმწიფოს მხრიდან არასათანადო რეგულირება. კერძოდ, ძლიერი კონკურენციის პირობებში, როდესაც ბიზნესს გადაწყვეტილი აქვს გაზარდოს მისი კონკურენტუნარიანობა ხარისხით და ინოვაციური მიდგომებით არამართო ევროპულ ბაზარზე გასასვლელად, არამედ ადგილობრივ ბაზარზე ოპერირებისთვის, მის სექტორში არასათანადო რეგულირების გამო (მათ შორის შესაბამისი სერტიფიცირება/აკრედიტაცია, ტექნიკური, უსაფრთხოების და სხვა

სტანდარტების არარსებობა) ადგილობრივ ბაზარზე ოპერირების შემთხვევაში არათანაბარ პირობებში ექცევა იმ კონკურენტებთან მიმართებაში, რომლებიც უხარისხო, ხშირ შემთხვევაში კი სახიფათო პროდუქტს/მომსახურებას აწოდებენ მომხმარებელს.

ევროპული ბიზნეს ასოციაციის წევრებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას ასევე წარმოადგენს გაჭიანურებული სასამართლო პროცესები.

გამოკითხვისას ევროპული ბიზნეს ასოციაციის წევრების მიერ პრობლემატურ თემებად დასახელდა ასევე ისეთი საკითხები, როგორცაა ფინანსებთან წვდომა და სახელმწიფო შესყიდვები.

## რეკომენდაციები

დღეს საქართველოში არსებობს მცირე და საშუალო ბიზნესის განსხვავებული განმარტებები ერთი მხრივ სტატისტიკის სამსახურის მიერ და მეორე მხრივ, საგადასახადო კოდექსის მიხედვით, რომელიც იყენებს მიკრო და მცირე ბიზნესის ცნებებს მხოლოდ საგადასახო მიზნებისთვის. მცირე და საშუალო ბიზნესისთვის სპეციალური პოლიტიკის შემუშავების და მათ მხარდასაჭერად სხვადასხვა პროგრამების ამოქმედებამდე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია კანონმდებლობით მონესრიგდეს და ერთგვაროვანი განმარტება მიეცეს მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის ცნებებს.

პოლიტიკის ფორმირების პროცესში მოხდეს მცირე და საშუალო ბიზნესის სათანადო ჩართულობა საჯარო-ვერძო სექტორებს შორის კონსულტაციის და რეგულაციური ზემოქმედების შეფასების ფორმალური მექანიზმების შემოღების მეშვეობით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ბიზნესის ჩართულობა მოხდეს არამხოლოდ კანონპროექტის შემუშავების შემდეგ, არამედ პოლიტიკის ფორმირების პროცესში, მას ქონდეს სისტემური და სტრუქტურირებული ხასიათი, დიალოგისთვის არსებობდეს მკაფიო წესები და პროცედურები.

საკანონმდებლო ცვლილებების დაგეგმვის პროცესში განხორციელდეს საკანონმდებლო ნორმების რეგულირების გავლენის ანალიზი (RIA) მცირე და საშუალო ბიზნესზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებისთვის (ე.წ. “SME test”).

ქართულმა მცირე და საშუალო ბიზნესმა DCFTA-ს შესაძლებლობებით რომ ისარგებლოს, უნდა გაგრძელდეს ხარისხის ინფრასტრუქტურის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება, რათა ვაჭრობის ტექნიკური ბარიერები გაუქმდეს.

სახელმწიფოს მიერ ნებისმიერი სახით ბაზარზე მოთამაშეთა დახმარების, საინვესტიციო პროექტების და ზოგადად, ეკონომიკური პოლიტიკის გატარების პროცესში წინასწარ შეფასდეს შესაბამის ბაზარზე კონკურენტული ეფექტი, ასევე შეიქმნას შესაბამისი საკანონმდებლო და ინსტიტუციური გარემო კონკურენციის სააგენტოს ეფექტიანად ფუნქციონირებისთვის.

გაჭიანურებული სასამართო პროცესების ერთ-ერთ გადაწყვეტის გზად ევროპულ ბიზნეს ასოციაციას მიაჩნია ქვეყანაში ბიზნესისთვის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული გზების შეთავაზება და მათი პოპულარიზაცია, როგორცაა არბიტრაჟი და მედიაცია, ამისთვის შესაბამისი საკანონმდებლო და ინსტიტუციური გარემოს არსებობა.

დოკუმენტის მომზადებისას გამოყენებულია:

- ✓ ქვეყნის დახასიათება მცირე ბიზნესის აქტის მიხედვით. მსს პოლიტიკის ინდექსი. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები 2016. ევროპის მცირე ბიზნესის აქტის განხორციელების შეფასება. OECD, European Commission, EBRD, ETF.
- ✓ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის დადგენილება #100;
- ✓ 2017 წლის 28 დეკემბრის საქართველოს მთავრობის დადგენილება #582;
- ✓ საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წელს გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება;
- ✓ კერძო-საჯარო დიალოგი კანონპროექტების შემუშავების საწყის ეტაპზე. IDFI;
- ✓ ევროპული ბიზნეს ასოციაციის წევრების მოსაზრებები.

დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელია:

მარიამ ქუჩულორია

ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორი მოადგილე

[Mariam.kuchuloria@eba.ge](mailto:Mariam.kuchuloria@eba.ge)

599 22 26 26